უფლისციხის აღზევების ეს კიდევ ერთი, დიდი პერიოდი დასრულდა XIII საუკუნის 30-იან წლებში. "და იყო ქალაქად ჩინგისამდე" - ამბობს ვახუშტი. ამა მოჰყვა მისი დაცემა-დაკნინების შეუქცევადი პროცესი. გვიან შუა საუკუნეებში იგი ერთხანს მცხეთის სვეტიცხოვლის კუთვნილ მონასტერს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ მეფე-ფეოდალთა ხელიდან ხელში გადადიოდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან საბოლოოდ დაიცალა და გაუკაცრიელდა.

ძეგლის სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1957 წლიდან და კვლავაც გრძელდება.

მარიამ გველესიანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი. საქართველო

ყათლანიხევის ანთროპომორფული ფიგურის ინტერპრეტაციისათვის

ბუნების დიდი დედა ანუ მდედრული უნივერსალურობის მატარებელი ქალღვთაება საქართველოში "დიდი დედა ნანას" სახელით თაყვანიცემოდა. შუმერულ ქალღვთაება "ინნანა"-დან წარმოებული "ნანა" და მისი ტრანსლიტერაციული ფორმები (ნანო, ანა, ნენა, ნენო, ნინო, ნინა, ნანე), როგორც სპარსულ, სომხურ, თათრულ, ტაჯიკურ, თურქულენოვან, ასევე ქართულ დასავლურ დიალექტებში "დედის" მნიშვნელობის მქონეა. ამ კულტის თაყვანისცემას ჯერ კიდევ ენეოლითის ხანიდანვე (ძვ.წ. V ათასწლეული) მოწმობს ხრამის დიდი გორაზე გამოვლენილი, ბუნების მფარველი ძალის - დიდი დედის გამოსახულებად მიჩნეული ქალის ანთროპომორფული ე.წ. "ნატურალისტური" ფიგურები, რომლებიც პარალელს ჰპოვებს სნორედ მესოპოტამიის, ირანის, მცირე აზიისა და სომხეთის იმავე ეპოქის ანალოგიურ ძეგლებთან.

სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრებული კონცეფციით, ქართველთა უძველეს ღვთაებათა ტრიადიდან (მამრიგე ღმერთი — მთვარე, მზე-ქალი ანუ ქალ-ბაბარი, კვირია) იერარქიულად მეორე ღვთაების, მზე-ქალის იპოსტასია დიდი დედა ნანა, რის გამოც ეს უკანასკნელი, ტრადიციულად, მზესთან დაკავშირებულ ქალღვთაებად მოიაზრება. შესაბამისად, მისი კულტის თაყვანისცემას, არქეოლოგიურ მასალაში სოლარული ატრიბუტიკის მქონე ნივთების (წრიული ფორმის მქონე სამლოცველო კერები, კვირისტავები, ურმის ბორბლები, დისკოსებური საგნები და სხვ) არსებობას უკავშირებენ.

ნანას კულტისა და მზის ქალღვთაების იგივეობის თეორია თავის დროზე მხოლოდ ერთდარგოვანი, კერძოდ — ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და თან იმგვარად, რომ დიდი დედა ნანას გენეზისის, განვითარების, ტრანსფორმაციისა და სინკრეტიზაციის მთლიანი სისტემური ხაზის ზოგადკულტურულ, სხვა ცივილიზაციათა კონტექსტში წარმოჩენა არ გამხდარა შესწავლის საგანი. ამგვარმა მიდგომამ, შესაბამისად, სულ სხვა სურათი მოგვცა, ვიდრე ეს გვაქვს საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში, სადაც საფუძვლიანადაა არგუმენტირებული ამ სახელით ცნობილი ქალღვთაების არა მზესთან, არამედ მთვარესთან კავშირი. ის, რომ ნანა/ინნანა (იგივე იშთარი) საქართველოს მახლობელ ცივილიზაციებში მთვარესთან ასოცირებული ქალღვთაებაა, მოგვიანებით ნანა/ინნანას ფარდ სპარსულ ანაჰიტას, ელინისტურ ეპოქაში ამ უკანასკნელის მონაცვლე ბერძნულ არტემიდას, ისევე როგორც შუააზიურ ქალღვთაება ნანოს იკონოგრაფიაშიც გამოვლინდა მათ თავზე ნამგალა მთვარის გამოსახვის სახით.

უფლისციხის უძველესი ნამოსახლარის, ყათლანიხევის I ნაგებობაში აღმოჩენილი თიხაში ნაძერნი ჰორელიეფი ქალის თავის გამოსახულებით პროფ. დ. ხახუტაიშვილის აზრით, წარმოადგენს სანესო სახვითი ხელოვნების ძეგლს, კონკრეტულად, დიდი დედა ნანას გამოსახულებას, რამდენადაც მასთან ერთად გამოვლენილ დისკოსებურ საგნებს მკვლევარი მზის კულტის მატერიალურ გამოვლინებად მიიჩნევს. ქანდაკების დიდ დედა ნანად ინტერპრეტირებისათვის, ვფიქრობთ, არსებითია იქვე ნაპოვნი ხარის მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც ამ იდენტიფიკაციის დიამეტრალურად სხვა (მთვარის) მიმართებით არგუმენტირების პერსპექტივას ქმნის.